სიძულვილის ენა მედიასივრცესა და სოციალურ ქსელებში

ანა ბარაბაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სიძულვილის ენის ერთხმად აღიარებული დეფინიცია არ არსებობს. ევროპის საბჭო 1997 წელს მიღებული რეკომენდაციით, სიძულვილის ენად მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით.

სიძულვილის ენა საკმაოდ მჭიდრო კავშირშია გამოხატვის თავისუფლებასთან, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღირებულებას და თავად ამ საზოგადოების საფუძველს.

სიძულვილის ენას ხშირ შემთხვევაში აიგივებენ ყველა ტიპის ნეგატიურ გამონათქვამთან. შეურაცხმყოფელი, ცილისმწამებლური თუ დისკრედიტაციისთვის მომზადებული მასალები სიძულვილის ენად აღიქმება. რეალურად, მათ შორის დიდი განსხვავებაა. იმის გამო, რომ ყველა ქვეყანას სხვადასხვა უნიკალური კონტექსტი აქვს, რთულია განსაზღვრო თუ რას ეწოდება სიძულვილის ენა.

სიძულვილის ენა განსხვავდება შეურაცხმყოფელი თუ ცილისმწამებლური გამონათქვამებისგან.

სიძულვილის ენის და დისკრიმინაციული გამონათქვამებთან მიმართებით ყველაზე მნიშვნელოვანია კონტექსტი, საზოგადოებაში არსებული განწყობა, დამოკიდებულება ამა თუ იმ თემის მიმართ.

სიძულვილის ენის წამახალისებელი, სტერეოტიპების გაღრმავების ხელის შემწყობი შესაძლოა მარტივად გახდეს მედია, თუკი არ მოეკიდება სიფრთხილით თითოეულ შემთხვევას და არ იფიქრებს გაშუქების კუთხესა თუ ტერმინოლოგიაზე, რომელსაც მგრძნობიარე საკითხების გაშუქებისას იყენებს.

HATE SPEECH IN THE MEDIA SPACE AND SOCIAL NETWORKS

Ana Barbakadze
PhD sudent of GTU

SUMMARY

There is no universally accepted definition for the term “hate speech”. The Council of Europe’s 1997 recommendation defines “hate speech” as all forms of expression that promotes, incites, stimulates or justifies racial hatred, xenophobia or other forms of hatred based on intolerance, including nationalism, ethnocentrism, discrimination and hostility towards minorities or migrants.

“Hate speech” is closely related to freedom of expression, which in its turn represents one of the most important values in democratic society and the foundation of this society itself.

“Hate speech” is often equaled to all types of negative speech. Insulting, defamatory or derogatory materials are considered as “hate speech”. In fact, there is a big difference between them, as each country has different unique contexts, it is difficult to define what constitutes hate speech.

Hate speech is different from abusive or defamatory speech.

In relation to hate speech and discriminatory expressions, the most important thing is the context, the mood in the society, the attitude towards this or that topic.

The media can easily become a facilitator of hate speech and the perpetuation of stereotypes if it does not approach each case carefully and think about the angle of coverage as well as terminology it uses when covering sensitive issues.

შესავალი

ხშირია დისკუსიები იმის შესახებ, უნდა გაშუქდეს თუ არა სიძულვილის ენა და ამ ლექსიკით მოსაუბრე ჯგუფები.

ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზანი აქვს გაშუქებას და როგორ, რა კუთხით და კონტექსტით წარმოჩინდება ესა თუ ის საკითხი.

ფრთხილად უნდა შეირჩნენ რესპონდენტები. განსაკუთრებით, როდესაც ტრიბუნა ეთმობათ იმ პირებს, ვინც ხშირად იყენებს დისკრიმინაციულ გამონათქვამებს.

სიძულვილის ენა არის გამოხატვის ნებისმიერი ფორმა, რომლის მეშვეობითაც მომხსენებლები იყენებენ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, დამამცირებელ ფრაზებს , რომელიც სიძულვილის გაღვივებას ემსახურება.

დაკვირვების შედეგად, შესაძლოა აღვნიშნოთ, რომ სიძულვილის ენა ქართულ ჟურნალისტიკაში გამოიყენება ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით, გარკვეული ნეგატიური აზრის ფორმირებისთვის.

ასევე, სიძულვილის ენა, როგორც წესი, მიმართულია მოწყვლადი ჯგუფების წინააღმდეგ, მათი რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, მოქალაქეობის, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის, გენდერული იდენტობის ან სექსუალური ორიენტაციის და სხვა დაცული საფუძვლების გამო.

რესპონდენტები, რომლებიც სიძულვილის ენას სხვადასხვა მედიასაშუალების ეთერებში იყენებენ, საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად ფაქტებს იშველიებენ, რომელთა გადამოწმების საშუალება შესაძლოა, ჟურნალისტს მოცემულ მომენტში არ ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, რა შედეგი მოყვება რესპონდენტის ნათქვამს და გამოიწვევს თუ არა ვინმეს დისკრიმინაციას.

პირდაპირ ეთერში მუშაობა დამატებით სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგანაც შესაძლოა სიძულვილის ენა მოულოდნელად გამოიყენოს რესპონდენტმა და შესაბამისად მისი რედაქტირებაც ვერ მოხდება.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე დადგა მედია Facebook Live-ის ფუნქციის დამატების შემდეგ, როდესაც შესაძლებელია ყველა ძალადობრივი აქცია უცვლელად შეუზღუდავი ქრონომეტრაჟით გადაიცეს სოციალური ქსელის მეშვეობით.

სიძულვილის ენის გამოყენება ინტერნეტ გვერდებსა და სოციალურ ქსელებში

ხშირად არის შემთხვევა, როდესაც მგრძნობიარე საკითხების გაშუქებისას, როგორც სხვადასხვა ვებგვერდებზე, ასევე სოციალური მედიის გვერდებზე იწერება სიძულვილის ენის შემცველი კომენტარები.

რეალურ მომხმარებლებთან ერთად აქტიურობენ ე. წ. ტროლები და ბოტები, რამაც ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა მედია[1].

ქარტიის პრაქტიკით, მედიასაშუალება არის პასუხისმგებელი მის პლატფორმაზე გამოქვეყნებულ ყველა მასალასა და კომენტარზე. თუმცა, აღნიშნულის კონტროლი, საკმაოდ დიდ რესურსს მოითხოვს, რაც მედიასაშუალებების უმრავლესობას არ აქვს.

მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის გამავრცელებელმა უნდა მიმართოს ძალისხმევა და ყველა რესურსი, იმისკენ რომ საკუთარი პლატფორმა ამგვარი გამოხატვის ტირაჟირებისთვის არ იყოს გამოყენებული.

ვიზუალური მასალა - ვიდეოები, ფოტოები, მონაცემები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია ამბის თხრობისთვის. თუმცა, ცალკე აღებული, კონტექსტის გარეშე მიწოდებული ასეთი ინფორმაცია ინტერპრეტაციის და მანიპულაციის საგანი შეიძლება გახდეს. ამიტომაც მნიშვნელოვანია ვიზუალური მასალა სრულად გადმოსცემდეს ამბავს და არ აჩვენებდეს მხოლოდ ერთ მხარეს.

დასკვნა

დასკვნის სახით, შესაძლოა აღინიშნოს, რომ სიძულვილის ენის გამოყენების პრაქტიკა, არამხოლოდ საქართველოს არამედ მსოფლიო გამოწვევას წარმოადგენს.

სხვადასხვა კვლევებსა და ჩვენს მიერ ჩატარებული დაკვირვების შედეგად, შესაძლოა აღვნიშნოთ, რომ დღესდღეობით ქართულ მედიასა და სოციალურ ქსელში სიძულვილის ენის გამოყენების ტენდენცია საკმაოდ მაღალი და მზარდია.

ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ სიძულვილის ენის გამოყენება, საზოგადოებისთვის გამაღიზიანებელი გახდა.

სიძულვილის ენამ, შეურაცხმყოფელმა გამონათქვამებმა და დისკრიმინაციისკენ სწრაფვამ გამოიწვია სხვადასხვა მედიასაშუალებების მიმართ ნდობის დაკარგვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://csogeorgia.org/ge/post/ra-aris-sidzulvilis-ena
2. https://uwm.edu/free-speech-rights-responsibilities/faqs/what-is-hate-speech-and-is-it-protected-by-the-first-amendment/
3. https://www.un.org/en/hate-speech/understanding-hate-speech/what-is-hate-speech
4. https://www.un.org/en/hate-speech
5. https://www.ala.org/advocacy/intfreedom/hate
6. https://www.rightsforpeace.org/hate-speech

1 Ethical Journalism Network - Hate speech A 5 point test for journalists